

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**  
**ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**  
~~~~~  
**ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა**  
**Distance Teaching Procedure**

---


## წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის გურამ ქათამაძის, იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსის ირაკლი ბეჟანიძის, საზღვაო ნავიგაციის პროგრამის ხელმძღვანელის ანზორ დიასამიძის, გემის მექანიკის პროგრამის ხელმძღვანელის გიორგი უღრელიძის და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ლერი არძენაძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2020 წლის 23 მარტის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N09);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში



**პროცედურაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი**

[illegible]




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა  
Distance Teaching Procedure

შინაარსი

|                                                                                                                                       |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. გავრცელების სფერო.....                                                                                                             | 5  |
| 2. ნორმატიული მითითებები .....                                                                                                        | 5  |
| 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები.....                                                                                          | 5  |
| 4. ძირითადი დებულება .....                                                                                                            | 5  |
| 5. ელექტრონული სწავლების ფორმები .....                                                                                                | 6  |
| 6. ელექტრონული სწავლების დანერგვა .....                                                                                               | 6  |
| 7. ელექტრონული სწავლების ძირითადი უპირატესობები და შესაძლო პრობლემები .....                                                           | 7  |
| 8. სწავლა-სწავლების თავისებურებები და ძირითადი პირობები .....                                                                         | 8  |
| 9. ელექტრონული სწავლების შეწყვეტა .....                                                                                               | 9  |
| 10. ელექტრონული სწავლების პროცესის რეალიზების რესურსები. პასუხისმგებლობები.<br>შესრულების მონიტორინგის და კორექტირების მექანიზმი..... | 9  |
| 11. ელექტრონული სწავლების წარმართვა .....                                                                                             | 10 |
| 12. ელექტრონული სწავლების შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარების წესი ....                                               | 10 |
| 13. შუალედურ, დასკვნით, დამატებით გამოცდებზე მიღებული შეფასების გასაჩივრება .....                                                     | 12 |
| 14. კონფიდენციალურობა .....                                                                                                           | 12 |
| 15. დებულების პერიოდული შემოწმებების ფურცელი .....                                                                                    | 13 |
| 16. პერსონალის დებულებაზე გაცნობის ფურცელი .....                                                                                      | 14 |
| 17. შეთანხმების ფურცელი .....                                                                                                         | 15 |



## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

### ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა Distance Teaching Procedure

#### 1. გავრცელების სფერო

1. წინამდებარე პროცედურა აღწერს დისტანციური სწავლების პროცესს.
2. პროცედურა წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და ვრცელდება ყველა სტრუქტურულ ერთეულზე, პედაგოგიურ პერსონალზე და უსდ-ს და პსდ-ს სტუდენტებზე;
3. პროცედურის აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში, ელ.ვერსია განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებ-გვერდზე;
4. აღრიცხული ეგზემპლარების რეგისტრაციას და საჭიროებისამებრ დაგზავნა წარმოებს ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

#### 2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე დებულების შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრის რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით
4. „ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანება
5. „ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის №434 განკარგულება

#### 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულია ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები, რომლებიც მოყვანილია ხარისხის სახელმძღვანელოში და აგრეთვე ნორმატიულ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია დებულება, ხოლო ყველაზე უფრო მახასიათებელი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები მოყვანილია ქვემოთ

##### 3.1 ტერმინები და განმარტებები


1. **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)** - დოკუმენტი რომელიც ადგენს წესებს საერთო პრინციპებს ან მახასიათებლებს გარკვეული მოდულობის სფეროსათვის;
2. **ხარისხის სამსახური** - ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური
3. **დისტანციური სწავლება** - ელექტრონული სწავლა-სწავლების პროცესი

##### 3.2 შემოკლებები:

1. **ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
2. **უსდ** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
3. **პსდ** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება

#### 4. ძირითადი დებულება

დისტანციური (ელექტრონული) სწავლება უზრუნველყოფს თანამედროვე ელექტრონული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მეშვეობით საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტების და ლექტორების მონაწილეობას იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი სხვადასხვა გარემოებების გამო არ იმყოფებიან ერთიან ფიზიკურ სივრცეში.



## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


### ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა Distance Teaching Procedure

#### 5. ელექტრონული სწავლების ფორმები

1. ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის, კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის, სტუდენტის სტუდენტთან ან/და ბუსსს ანრის პერსონალთან კომუნიკაციისათვის, ტესტირებისათვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისა და სხვა მიზნებისათვის;
2. ელექტრონული სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმით:
  - ✓ ასინქრონული (გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას);
  - ✓ სინქრონული (როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება);
  - ✓ კომბინირებული (ითვალისწინებს სინქრონული და ასინქრონული ფორმების გამოყენებას).

#### 6. ელექტრონული სწავლების დანერგვა

1. ელექტრონული სწავლების რეალიზება მოითხოვს როგორც შესაბამისი რესურსებით (მათ შორის, ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამები, სხვ.) უზრუნველყოფას, ისე სწავლების ფორმის თავისებულებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზება-ადმინისტრირებას და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (მათ შორის, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, სასწავლო რესურსები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კომუნიკაცია, უკუკავშირი, სხვ.) გამოყენებას. ასევე, სწავლების ეს ფორმა მოითხოვს მართვის ოპერატიულობას, საგანმანათლებლო და სხვა პროცესების ეფექტიანობას, ხარისხზე აქტიურ კონტროლს, ბუსსს ანრის სტუდენტების, ლექტორების და პერსონალის ტექნიკური უნარების განვითარების ხელშეწყობას, სასწავლებლის შიდა მართვის ავტომატიზირებული სისტემის შესაძლებლობების სრულად გამოყენებას და სისტემატურ გაუმჯობესებას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
2. ელექტრონული სწავლების დანერგვამდე აუცილებელია შემდეგი მექანიზმების ამოქმედება:
  - ✓ ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსების მრავალმხრივი შეფასება და მოზილიზება;
  - ✓ სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესაბამისი მიდგომების შემუშავება და მათი გამოყენების შესაძლებლობის დადგენა (მაგ., სასწავლო პროცესის ორგანიზების ოპტიმიზება, სასწავლო პროცესის მართვის სისტემის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, ელექტრონულ ფორმატში სალექციო, სახელმძღვანელო და სხვა მასალებით სტუდენტების სრულად უზრუნველყოფა, ონლაინ რეჟიმის გამოყენება პერსონალთან და სტუდენტებთან კომუნიკაციისა და კონსულტირების მიზნით და სხვ.);
  - ✓ იმ საკვანძო ასპექტების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას მოახდენენ ელექტრონული სწავლების დანერგვასა და განხორციელებაზე და განაპირობებენ ბუსსს ანრის პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს;
  - ✓ ბუსსს ანრის კომპიუტერული ტექნიკით და სხვა რესურსებით სარგებლობის უზრუნველყოფა იმ სტუდენტებისა და ლექტორებისთვის, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ელექტრონული სწავლა-სწავლებისთვის აუცილებელი პირადი ტექნიკური საშუალებები/სხვ.;
  - ✓ სტუდენტთა წინასწარი ინფორმირება ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის შესახებ, დისტანციურად სასწავლებლის ყველა სერვისის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
  - ✓ პროგრამ(ებ)ის განმახორციელებლების წინასწარი ინფორმირება ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის შესახებ და მათი წერილობითი თანხმობის მიღება;




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა  
Distance Teaching Procedure

- ✓ სასწავლო პროცესის ტექნოლოგიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის და კონტროლის ჯგუფების შექმნა ან/და ამ ფუნქციების კონკრეტულ პირებზე დელეგირება;
  - ✓ შესაძლო პრობლემების იდენტიფიცირებას და პრევენცია;
  - ✓ სტუდენტებისთვის, ლექტორებისა და პერსონალისთვის ტრეინინგების ჩატარება, ასევე სატესტო რეჟიმში ონლაინ ლექციების ჩატარება;
  - ✓ ელექტრონული სწავლების პერიოდში განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრა (მათ შორის სასწავლო პროცესის უწყვეტი კონტროლი, დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შესწავლა-ანალიზი, პრობლემების/შესაძლო რისკების იდენტიფიცირება-შეფასება, მათი დამლევის მექანიზმების განსაზღვრა, ოპერატიული რეაგირება და სხვ.);
3. ელექტრონული (სინქრონული და/ან ასინქრონული) ფორმით სწავლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:
- ✓ გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას, ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოს იერ მიღებულ განკარგულებას/დადგენილებას;
  - ✓ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული - ეყრდნობოდეს ბუსსს ანრის რესურსების და შესაძლებლობების (მათ შორის ფინანსური რესურსების/რეზერვების) მრავალმხრივ კომპლექსურ და ობიექტურ შეფასებას.
4. ელექტრონული სწავლების დანერგვამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე ბუსსს ანრის მდგრადობას, აღებული ვალდებულებების შესრულებას და/ან პროგრამების განხორციელების და განათლების ხარისხს, ასევე, არ უნდა გამოიწვიოს არსებული მდგომარეობის გაუარესება ან/და განვითარების სტრატეგიის შეუსრულებლობა.

**7. ელექტრონული სწავლების ძირითადი უპირატესობები და შესაძლო პრობლემები**

1. ძირითად უპირატესობებს მიეკუთვნება:
- ✓ თავისუფალი წვდომა (სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სასწავლო პროცესში პრაქტიკულად ნებისმიერი (და არამხოლოდ ბუსსს ანრის ფიზიკური) სივრციდან, სადაც არის ინტერნეტთან წვდომა);
  - ✓ სწავლების მოქნილობა (სტუდენტი თავად ახდენს თავის შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან სწავლების პროცესის ადაპტირებას, მას შეუძლია რამდენჯერმე დაუბრუნდეს უკვე გავლილ სალექციო მასალას; სალექციო და სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს შეზღუდვების გარეშე);
  - ✓ სწავლების პერსონალიზება (ელ.სწავლება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანაბარი მონაწილეობის და ინდივიდუალური განრიგით სწავლების შესაძლებლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და სხვა სტუდენტებისთვის, რომლებსაც დროებით აქვთ ასეთი საჭიროება (მაგ., სტუდენტები, რომლებიც სხვა ფორმით ვერ ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში);
  - ✓ ტექნოლოგიურობა (სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების და ტექნიკის გამოყენებით, რაც ზრდის ელექტრონული ფორმით განხორციელებული სასწავლო პროცესის ხელმისაწვდომობას და ეფექტიანობას: იზრდება ინფორმაციის ვიზუალიზაციის დინამიურობა, სწავლების პროცესში აქტიურია სტუდენტის ურთიერთობა ელექტრონულ სისტემას და რესურსებთან, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს მათ ტექნოლოგიურ უნარებს).
2. ელექტრონული სწავლების ძირითადი შესაძლო პრობლემები:
- ✓ პიროვნებათშორისი კონტაქტების შემცირება;
  - ✓ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი პრობლემები;
  - ✓ სხვადასხვა ფორმის არაეთიკური საცქიელის საფრთხე (მაგ., აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევა, ონლაინ ლექციების/სხვ. ჩაშლის მცდელობა, სხვ.);
  - ✓ ტექნოლოგიური და ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფასთან და განახლებასთან დაკავშირებული რისკები და ფინანსური ხარჯები;




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა  
Distance Teaching Procedure

- ✓ ლექტორების მომზადების დონე: მათი უნარი შეიმუშაონ დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი მასალები და სრულფასოვნად განახორციელონ სწავლების პროცესი (მაგ., სალექციო მასალები, დავალები, სწავლების მეთოდების შერჩევა, სალექციო დროის სტრუქტურირება და მართვა, უკუკავშირი სტუდენტებთან და სხვ.). ასევე, სტუდენტთა ტექნოლოგიური უნარები;
- ✓ შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობის დონე;
- ✓ ელექტრონული სწავლების ორგანიზების თავისებურებები (მაგ., ტექნიკურად გაუმართავი და არასწორად დაგეგმილი სწავლების პროცესი ამცირებს სწავლების ეფექტიანობას).

**8. სწავლა-სწავლების თავისებურებები და ძირითადი პირობები**

1. ელექტრონული სწავლებისას აუცილებელია:
  - ✓ ბუსსს ანრის შესაძლებლობების და რესურსების (ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, აღჭურვილობა, ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკის ელექტრონული ფონდი და ა.შ.) სისტემატური შეფასება და განვითარება;
  - ✓ სასწავლო პროცესის მართვის სისტემის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება;
  - ✓ ელექტრონულ ფორმატში სალექციო, სახელმძღვანელო, სხვა მასალებით სრულად უზრუნველყოფა და ელექტრონული ფორმით მიმდინარე სასწავლო პროცესის კონტროლი;
  - ✓ პროგრამების პერსონალთან და სტუდენტებთან კომუნიკაცია, მათი კონსულტირება;
  - ✓ პრობლემების/რისკების იდენტიფიცირება, შესწავლა და ოპერატიული რეაგირება;
  - ✓ დაგეგმილი სწავლა-სწავლების მეთოდების და შეფასების კომპონენტების (მათ შორის, შინაარსის და მოთხოვნების) წინასწარი შესწავლა და რელევანტურობის დადგენა, ასევე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სისტემატური კონტროლი;
  - ✓ დაინტერესებულ მხარეთა (სტუდენტები, ლექტორები) დამოკიდებულებების და საჭიროებების შესწავლა და რეაგირება, კომუნიკაციისა და სწავლების ეფექტიანობის შეფასება;
  - ✓ საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და მათი დანერგვა;
2. სწავლება გახორციელდება სილაბუსების შესაბამისად.
3. გამოიყენება ბუსსს ანრისში მოქმედი შეფასების და კრედიტების მინიჭების საერთო წესები, რაც გულისხმობს მიღებული შეფასებების და კრედიტების ავტომატურად და სრულად ჩათვლას;
4. შეირჩევა სტუდენტთა სასწავლო საქმიანობის, სწავლა-სწავლების და შეფასების რელევანტური მეთოდები/ფორმები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის კომპონენტისა და ელექტრონული ფორმით ამ კომპონენტის განხორციელების სპეციფიკას. ასევე:
  - ✓ უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასწავლო კურსების მიზნების, შედეგების და გამოყენებული შეფასებების ურთიერთშესაბამისობა: შეფასების მეთოდები უნდა იყოს სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისი, მათი გამოგენებით უნდა იყოს შესაძლებელი დაგეგმილი მიზნებისა და შედეგების მიღწევის დადასტურება;
  - ✓ შეფასება უნდა იყოს: ა) ვალიდური (შეფასების ობიექტები უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტების მიზნებს); ბ) სანდო (უნდა იყოს გამოყენებული ერთიანი სტანდარტები და კრიტერიუმები); გ) სამართლიანი (ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების შესაძლებლობა); დ) განმავითარებელი (უნდა აფიქსირებდეს რას მიაღწიეს სტუდენტებმა და როგორ შეუძლიათ შედეგების გაუმჯობესება); ე) დროული (იძლეოდეს განმავითარებელი უკუკავშირის შესაძლებლობა); ე) ეფექტიანი (არ უნდა იკავებდეს სტუდენტების არარელევანტურად დიდ დროს);
  - ✓ შეფასებისას შეიძლება იყოს გამოყენებული „ღია წიგნის“ მეთოდი (სტუდენტებს კითხვებზე პასუხის გაცემისას აქვთ საშუალება გამოიყენონ წიგნი, კონსპექტი, რიდერი ან ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაციის სლაიდები, სხვ.). რეკომენდებულია ისეთი დავალებების მიცემა, რომლებიც საჭიროებენ არა მხოლოდ ცოდნას, არამედ კრიტიკულ აზროვნებასაც (მაგ., ესე/თეორიული დავალება, რომელიც ფოკუსირებულია მსჯელობაზე, არგუმენტების მოყვანაზე, დასკვნების ჩამოყალიბებაზე; ღია კითხვები, რომლებიც მოითხოვენ საკითხზე მსჯელობას; სიტუაციის კრიტიკული ანალიზი, სიტუაციის მოდელირება; შესწავლილი ლიტე-



## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

### ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა Distance Teaching Procedure

რატურის კრიტიკული შეფასება და/ან კომენტარები; პრობლემაზე, მის ანალიზზე და გადაჭრის გზებზე/მეთოდებზე ფოკუსირებული მიმოხილვის მომზადება; პროექტის მომზადება, რომელიც ეხება რეალურ პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს და/ან სხვა, რითაც სტუდენტმა შეილება მოახდინოს დაგეგმილი შედეგის მიღწევის დემონსტრირება/დადასტურება);


- ✓ შეფასება უნდა მიმდინარეობდეს როგორც სემესტრის განმავლობაში (შეფასების შუალედური ფორმა), ისე დასკვნითი შეფასების სახით (დასკვნითი შეფასების ფორმა). გამონაკლისს წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელიც ფასდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასების ფორმით.
- 5. აუცილებელია იყოს უზრუნველყოფილი ბუსსს ანრის ტექნიკურ/პროგრამულ/სხვ. რესურსებთან წვდომა იმ სტუდენტებისა და ლექტორებისთვის, ვისაც საჭირო პირადი რესურსი არ გააჩნია/აქვთ ბუსსს ანრის რესურსებით სარგებლობის საჭიროება;
- 6. ელექტრონული სწავლება არ გამოიყენება იმ სასწავლო აქტივობების შემთხვევაში, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ აღჭურვილობას/პროგრამულ უზრუნველყოფას და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უშუალოდ ბუსსს ანრიში და მხოლოდ ბუსსს ანრის ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობისა და რესურსების გამოყენებით).

#### 9. ელექტრონული სწავლების შეწყვეტა

1. ბუსსს ანრის მიერ ელექტრონული ფორმით სწავლების შეწყვეტა მოხდება, თუ:
  - ✓ საქართველოს კანონმდებლობით სწავლების ეს ფორმა აიკრძალება/შეიზღუდება;
  - ✓ ბუსსს ანრი ვერ უზრუნველყოფს ელექტრონულ სწავლებას შესაბამისი რესურსებით;
  - ✓ დადგინდება განათლების ხარისხის შემცირების ან პროგრამის შესაბამისი კომპონენტით დაგეგმილი შედეგების მიუღწევლობის რეალური/ობიექტურად იდენტიფიცირებული საფრთხე (მაგ., ხშირად ჩაშლილი ლექციები/სემინარები, გაუარესებული აკადემიური მოსწრება და სხვ.);
  - ✓ ელექტრონული სწავლებისთვის გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაოდენობა, ინფრასტრუქტურა, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ., ასევე მათი შენახვისა და განვითარების დაფინანსების მოცულობა საფრთხეს უქმნის/შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროგრამ(ებ)ის ფინანსურ უზრუნველყოფას, ბუსსს ანრის საქმიანობას, აღებული ვალდებულებების შესრულებას და/ან მის ფინანსურ მდგრადობას.
2. სტუდენტს აქვს უფლება უარი თქვას სწავლების ელექტრონულ ფორმაზე, მოითხოვოს საკონტაქტო მეცადინეობის ჩატარება (გარდა ოფიციალური ორგანოს მიერ განკარგულებით/დადგენილებით განსაზღვრული შემთხვევებისა) და/ან მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ (მითითებულ შემთხვევებში სტუდენტმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ბუსსს ანრის რექტორს).

#### 10. ელექტრონული სწავლების პროცესის რეალიზების რესურსები. პასუხისმგებლობები. შესრულების მონიტორინგის და კორექტირების მექანიზმი

1. ელექტრონული სწავლების პროცესის რეალიზება მოხდება ბუსსს ანრის შიდა რესურსებით;
2. ელექტრონული სწავლების პროცესის რეალიზებაში კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ბუსსს ანრის პერსონალი და ყველა სტრუქტურული ერთეული;
3. ელექტრონული სწავლების პროცესის რეალიზებისთვის აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფის კონტროლს, ასევე სტრუქტურული ერთეულების კოორდინაციას განახორციელებს ბუსსს ანრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - გენერალური დირექტორი;
4. ელექტრონული სწავლების პროცესის შესრულების პასუხისმგებლობა და კონტროლი დაევალება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;
5. ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - გენერალური დირექტორი. ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს სენატი. ცვლილებების პროექტის წარმდგენია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - გენერალური დირექტორი;
6. ელექტრონული სწავლების პროცესის კორექტირება შესაძლებელია:



## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

### ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა Distance Teaching Procedure

- ✓ თუ ცვლილებების აუცილებლობა გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით და/ან ოფიციალური ორგანოს მიერ მიღებული განკარგულებით/დადგენილებით;
- ✓ თუ ცვლილებების აუცილებლობა გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით, შესაბამისი დასაბუთებისა და ცვლილებების აღწერის პირობით;
- ✓ ბუსსს ანრის განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების გამო;
- ✓ ბუსსს ანრის სენატის გადაწყვეტილებით.

#### 11. ელექტრონული სწავლების წარმართვა

ელექტრონული სწავლების წარმართვისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი თანამედროვე კოლაბორაციული კომუნიკაციის სისტემები, როგორიცაა მაგალითად: Webex, Zoom, Teams და ა.შ. ასევე ბუსსს ანრის სასწავლო პროცესის მართვის ელ.პროგრამაში ჩაშენებული დისტანციური სწავლების ფლატფორმა.

პლატფორმების შეუფერხებელი გამოყენების მიზნით სასწავლებლის სტუდენტებსა და პედაგოგიურ პერსონალს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგები.

#### 12. ელექტრონული სწავლების შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარების წესი

ელექტრონული სწავლებისთვის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ჩატარების მიზნით, სასწავლებელში შეიქმნა ახალი ელექტრონული ბაზა ( ms.mtc-anri.edu.ge ), სადაც აიტვირთება ტესტები და ჩატარდება გამოცდები. გამოცდების დაწყების წინა დღით სტუდენტებს ჩაუტარდება ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც დეტალურად გაეცნობიან ინსტრუქციას ტესტირების შესახებ და ყველა კითხვაზე მიიღებენ ამომწურავ პასუხებს.

აღნიშნული წესი არეგულირებს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში ელექტრონული სისტემით შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ჩატარების პროცესს და მისი მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;


შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ელექტრონული ფორმით ჩატარების მიზანია სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების - ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევის შეფასება, რაც ერთი მხრივ, ემსახურება სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაუმჯობესობას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის ობიექტურობას, სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და შეფასების ოპერტიულობას;

სტუდენტისთვის გამოცდის ჩატარების თარიღი და დრო განისაზღვრება ადმინისტრაციის მიერ შედგენილი განრიგით. გამოცდების განრიგი გამოქვეყნდება სასწავლებლის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე;

ელექტრონული სწავლებისთვის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ჩატარების მიზნით, სასწავლებელში შეიქმნა ახალი ელექტრონული ბაზა ( ms.mtc-anri.edu.ge ), სადაც აიტვირთება ტესტები და ჩატარდება გამოცდები. გამოცდების დაწყების წინა დღით სტუდენტებს ჩაუტარდება ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც დეტალურად გაეცნობიან ინსტრუქციას ტესტირების შესახებ და ყველა კითხვაზე მიიღებენ ამომწურავ პასუხებს.

სარეკომენდაციო ფორმა: შუალედური გამოცდის ტესტის რაოდენობა არის 20 ტესტი 4 სავარაუდო პასუხით, სადაც მხოლოდ ერთი სწორი პასუხია, რამდენიმე პასუხის აღნიშვნის შემთხვევაში , ტესტის პასუხი არ ჩაითვლება. შუალედური გამოცდის მაქსიმალური ქულა შეადგენს 20 ქულას. შუალედური გამოცდის მაქსიმალური დრო 30 წუთი.

დასკვნითი გამოცდის ტესტის რაოდენობა არის 30 ტესტი 4 სავარაუდო პასუხით, სადაც მხოლოდ ერთი სწორი პასუხია, რამდენიმე პასუხის აღნიშვნის შემთხვევაში , ტესტის პასუხი არ ჩაითვლება და ასევე ერთი თემა, რომელიც სტუდენტმა უნდა დაწეროს. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა შეადგენს 40 ქულას.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა  
Distance Teaching Procedure

დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური დრო 60 წუთი.

ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შუალედური/დასკვნითი გამოცდის ხელმეორედ ჩაბარების უფლება.

შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი წესები:

ა) შუალედური გამოცდა - მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება შუალედურ გამოცდაზე გასვლა ამისთვის დადგენილ ვადაში. განსხვავებულ ვადაში გამოცდის დანიშვნაზე უარის თქმის ან დადგენილ ვადაში გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუალედურ გამოცდაში ფიქსირდება 0 ქულა გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად;

ბ) დასკვნითი გამოცდა - ფიქსირდება 0 ქულა და სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით უგროვდება არანაკლებ  $F_x$  შეფასების შესაბამისი 41-50 ქულა, შეუძლია დამატებით გამოცდაზე ერთჯერადად გასვლა. სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება  $F$ , თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით სტუდენტს უგროვდება 41-ზე ნაკლები ქულა;

გ) დამატებითი გამოცდა- ფიქსირდება 0 ქულა და სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში შეფასება  $F$ ;

შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე დაგვიანების ან შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მიტოვების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს გამოცდაზე შესვლის ან გამოცდის დასრულების უფლებას და მოქმედებს შემდეგი წესი:


ა) შუალედური გამოცდა - 1) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოცდის მიტოვების შემთხვევაში სტუდენტი შეძლებს შუალედურ გამოცდაზე გასვლას ამისთვის განსაზღვრულ ვადაში; 2) შუალედურ გამოცდაზე დაგვიანების/არასაპატიო მიზეზით გამოცდის მიტოვების შემთხვევაში ფიქსირდება 0 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა - ფიქსირდება 0 ქულა და სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მას უგროვდება არანაკლებ  $F_x$  შეფასების შესაბამისი 41-50 ქულა. სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება  $F$ , თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა;

გ) დამატებითი გამოცდა- ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება  $F$ ;

3.14. ზემოთ მითითებულ საპატიო მიზეზებში მოიაზრება მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა და ა.შ. ან სტუდენტისგან დამოუკიდებელი დოკუმენტურად დადასტურებული ობიექტური გარემოები, რის შესახებ დამატებით გამოცდაზე სტუდენტის გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში წინასწარ (გამოცდის დაწყებამდე) უნდა ეცნობოს სასწავლებლის ადმინისტრაციას. ყველა მსგავსი შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტის განცხადების და თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტში/ცნობაში უნდა იყოს მითითებული ცნობის/დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება, ფაქტობრივი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, დოკუმენტის/ცნობის სარეგისტრაციო ნომერი, ცნობის/დოკუმენტის გაცემის თარიღი და საფუძველი, დოკუმენტი/ცნობა უნდა დასტურდებოდეს უფლებამოსილი პირის (ვინაობის და თანამდებობის მითითებით) ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდით. მითითებული ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი ცნობა/დოკუმენტი მხედველობაში არ მიიღება. სასწავლებელი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტის/ცნობის ნამდვილობა; შესაბამისად სტუდენტის მიერ ცნობის წარმოდგენა გულისხმობს მის თანხმობას ინფორმაციის გადამოწმებაზე.

შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე სტუდენტის მიერ წესრიგის ან სასწავლებლის დებულებით გათვალისწინებული ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში:



## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

### ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა Distance Teaching Procedure

- ა) სტუდენტს არ ექნება გამოცდის დასრულების უფლება;
- ბ) დაიწყება დისციპლინური წარმოება და სტუდენტის მიმართ იქნება გამოყენებული სასწავლებელში მოქმდი „სტუდენტთა ქცევის კოდექსით“ ან სხვა რეგულაციით გათვალისწინებული სანქცია;
- გ) თუ დისციპლინური სანქცია არ ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, მაშინ მოქმედებს შემდეგი წესი: შუალედური გამოცდის შემთხვევაში - ფიქსირდება 0 ქულა; დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში - ფიქსირდება 0 ქულა და სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მას უგროვდება არანაკლებ  $F_x$  შეფასების შესაბამისი შემაჯამებელი 50-41 ქულა. სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება  $F$ , თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა; დამატებითი გამოცდის შემთხვევაში ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება  $F$ ;
- დ) თუ დისციპლინური სანქცია ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, მაშინ სტუდენტს არ აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება და სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება  $F$ ;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების ( $\max$  შეფასების  $\geq 51\%$ -ის) შესაბამისი ქულის მიღების შემთხვევაში სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის დაგეგმილი (სილაბუსში მითითებული) სწავლის შედეგები ითვლება მიღწეულად და სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის კრედიტი მიღებულიად.

#### 13. შუალედურ, დასკვნით, დამატებით გამოცდებზე მიღებული შეფასების გასაჩივრება

სტუდენტი უფლებამოსილია შუალედური გამოცდის/პერიოდული შეფასების ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანატს და მოითხოვოს მიღებული შეფასების გადახედვა. პროტესტი შეიძლება წარდგენილ იქნას, როგორც სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებაში წერილობით, ასევე შეიძლება გაგზავნილ იქნას სასწავლებლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე [info@mtc-anri.edu.ge](mailto:info@mtc-anri.edu.ge). საჩივარი განიხილება მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აკადემიური პერსონალის/სპეციალისტის მიერ ან დეკანის გადაწყვეტილებით კომისიური წესით. საჩივრის განხილველ კომისიაში უნდა შედიოდეს ფაკულტეტის დეკანი, იმ სასწავლო კურსის ლექტორი, რომლის შეფასების გასაჩივრებაც მოხდა და ფაკულტეტიდან შესაბამისი დარგის სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომისიური წესით საჩივრის განხილვისას აგრეთვე მოიწვევა საჩივრის ავტორი სტუდენტი. იმ შემთხვევაში თუკი საჩივართან დაკავშირებით მიღებული იქნება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას.

#### 14. კონფიდენციალურობა


ონლაინ-სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი გასაჯაროებისას. პროცედურა წარმოადგენს ბუქსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



## 15. პროცედურის პერიოდული შემოწმების ფურცელი

ვერსია № 1  
კოდი: 2-0201-06

13-15




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა  
Distance Teaching Procedure

16. პერსონალის პროცედურასთან გაცნობის ფურცელი

| №  | სახელი, გვარი    | თანამდებობა                                                                                | გაცნობის<br>ვადა | გაცნობის<br>თარიღი | ხელმოწერა |
|----|------------------|--------------------------------------------------------------------------------------------|------------------|--------------------|-----------|
| 1  | თამთა ჩხეიძე     | სტუდენტთა, თანამშრომელთა და<br>მსმენელთა მომსახურების<br>განყოფილების<br>საქმისმწარმოებელი | 30.03.2020       |                    |           |
| 2  | სოფიკო მამულაძე  | მთავარი ბუღალტერი                                                                          | 30.03.2020       |                    |           |
| 3  | ხატია მენაბდე    | მეზღვაურთა წვრთნისა და<br>სერთიფიცირების ცენტრის<br>საქმისმწარმოებელი                      | 30.03.2020       |                    |           |
| 4  | სალომე ზაქარაძე  | ადამიანური რესურსების<br>სპეციალისტი                                                       | 30.03.2020       |                    |           |
| 5  | დავით ჩხაიძე     | სასწავლო სამკროებისა და<br>სახელოსნოების უფროსი                                            | 30.03.2020       |                    |           |
| 6  | ჟუჟუნა დიასამიძე | ბიბლიოთეკის გამგე                                                                          | 30.03.2020       |                    |           |
| 7  | ირაკლი გოგიტიძე  | სამეურნეო განყოფილების<br>უფროსი                                                           | 30.03.2020       |                    |           |
| 8  | ლევანი საგინაძე  | უსაფრთხოების მენეჯერი                                                                      | 30.03.2020       |                    |           |
| 9  | ილია ნიქაბაძე    | პიარ-მენეჯერი                                                                              | 30.03.2020       |                    |           |
| 10 | ომარ დიასამიძე   | პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და<br>სტუდენტებთან ურთიერთობის<br>განყოფილების უფროსი       | 30.03.2020       |                    |           |
| 11 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 12 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 13 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 14 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 15 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 16 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 17 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 18 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 19 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 20 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 21 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 22 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 23 |                  |                                                                                            |                  |                    |           |
| 24 |                  |                                                                                            |                  |                    |           |



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**  
**ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**  
 .....  
**ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა**  
**Distance Teaching Procedure**

**17. შეთანხმების ფურცელი**

**ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებული პირების დანიშვნა**

**1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №**

**ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის პროცედურა**  
**Distance Teaching Procedure**

**ნდ N-2-0201-06**

**1.2 დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:**

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე  
 საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი გურამ ქათამაძე  
 იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე  
 საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი ირაკლი ბეჟანიძე  
 საზღვაო ნავიგაციის პროგრამის ხელმძღვანელი ანზორ დიასამიძე  
 გემის მექანიკის პროგრამის ხელმძღვანელი გიორგი უღრელიძე  
 სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლერი არძენაძე

**1.3 შემსრულებელი** \_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

\_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

\_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

\_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

\_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

\_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

\_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

**ნაწილი 2.**

**შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა**

| № | შემთანხმებული პირის<br>თანამდებობა და ინიციალები                                              | ხელმოწერა | შეთანხმების<br>რიცხვი | შენიშვნა |
|---|-----------------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------------------|----------|
| 1 | სტუდენტებთან ურთიერთობის<br>მენეჯერი ნათია დიასამიძე                                          |           |                       |          |
| 2 | სტუდენტთა, მსმენელთა და<br>თანამშრომელთა მომსახურების<br>განყოფილების უფროსი ნინო<br>ნაკაშიძე |           |                       |          |

**დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა**

\_\_\_\_\_ ხელმოწერა

\_\_\_\_\_ გვარი, სახელი

\_\_\_\_\_ თარიღი